KA070162099675717

N01/1488

14 / სექტემბერი / 2017 წ.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, საქართველოში იტალიის საელჩოს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეტში დაგეგმილია ქ. ტურინის საბაუდას გალერეაში დაცული მსოფლიო მნიშვნელობის შედევრის სანდრო ბოტიჩელის „ვენერას" გამოფენა, საქართველოში იტალიის საელჩოსთან და კომპანია Associazione Culturale Metamorfosi`(შემდგომში ასოციაცია მეტამორფოზი) მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გამოფენის გახსნა დაგეგმილია 2017 წლის 3 ოქტომბერს, იტალიის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, ბატონი ივან სკალფაროტოს თბილისში ვიზიტის მსვლელობის დროს, ხოლო დახურვა დაგეგმილია 30 ნოემბერს, საერთაშორისო „აბრეშუმის გზის ფორუმის" დამთავრების შემდგომ.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გამოფენა თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებას, მიზანშეწონილია მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით ასოციაცია მეტამორფოზისაგან, რომელიც ტურინის სამეფო მუზეუმს შორის გაფორმებული პარტნიორობის გრძელვადიანი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოადგენს ოფიციალურ წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია ტურინის სამეფო მუზეუმში დაცული ტილოების იტალიაში და მის ფარგლებს გარეთ ექსპოზიციის გამართვაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის " მე-5 მუხლის I პუნქტის თანახმად გთხოვთ, თქვენს თანხმობას, რათა მსოფლიო მნიშვნელობის გამოფენის გამართვის მომსახურება შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ასოციაცია მეტამორფოზისგან ღირებულებით 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ევრო.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ირაკლი ღვალაძე